გორის მამასახლისი ბაბალასშვილი გიორგი +, ქრცხინვალის მამა-  
სახლისი იესე +, მე სვეტის-ცხოვლის კათალიკოზ-პატრიარქის  
მდივანს მალაღასშვილს ნიკოლოზს ამ ხერხეულიძეს უაბულობით და-  
მიწერა და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მარტის კო, ქვს უ მტ,  
ქრისტეს აქეთ ჩ დნ თ. მე უორიასა-უზბაშ ზაზა თარხნისშვილი  
მოწამე.

ქ. მე ზემო ციციისშვილი ბუქაულთ-ხუცესი გლახა მოწამე.

ქ. მე მდივანი ავთანდილ მოწამე.

ქ. ამისი ასლი ვნახე და ასლთან თანასწორი გადმოკსწერე  
უმეტ-ნაკლებით მე დადიანაძე მდღეელმა ჰეტრემ.

ქ. ამისი ასლი ვნახე, რომ უმეტ-ნაკლებო იყო და ასე შევა-  
მოწმე მე, შეტხრე იეგირის მღუდელ-დეკანოზი ჰველე ჯავახოვი.

თავში სხვა ხელით აწერია:

ჩვენ ეოგვლად უსამღვდელოესი მოავარ-ეპისკოპოზი მროველი,  
ნიქოზელი მიტროპოლიტი იუსტინე ხელს ვაწერთ ამ ნასყიდობის  
სიგელსა, ასლი ვნახეთ, რომე ხერხეულიძეს დიმიტრი სალახუციკს  
ამ ღახერისთვის მიუეიდნა და თითონ ჩემის ძმ-ს ნიკოლოზის მდივ-  
ნის ხელით არის ასლი დაწერილი და ესეც ასლთან თანასწორი.  
პრილის კე, წელსა ჩ ე. ი. იუსტინე (ჩართულათ).

**461.** სასიხლო სიგელი კოსტანტინე მეფისა, ბოძებული ტირლი-  
ლასძეთადმი, 257 X 22,7 სანტ. დაწერილია სქელ, მაგარ და  
კუდათ შემუშავებულს ეტრეტხედ, რომელიც შესდგება ოთხი  
ერთმანეთზე წითელი აბრეშუმის ძაფით მიკერებულის ნაჭრები-  
საგან. თავში უნდა აკლდეს ერთი ნაჭერი, რომელზედაც მხატვ-  
რობა უნდა ყოფილიყოს სიგლის მიმცემის მეფისა და მისთა  
შვილთა. ძაფები, რომლებითაც ეს ნაჭერი ყოფილა მიკერებუ-

ლი, დასულია. წერა მრავალი მხედრულია, ლამაზი, ნაწერი ძრიელ მეჩხრად, სიტყვები და სტრიქონები და შორებულია ერთმანეთზე, მელანი ძლიერ მქრალია, ზოგ ადგილ-ს სრულიად გადასული, ამას გარდა პირველი შენახული ნაჭერი ეტრატისა სრულად არ არის დასული, ადგილ-ადგილ მარცხენა კედარო მოხეული აქვს და ზოგიერთი სიტყვები და ასოები აკლია. ნაკლული ჩვენ აზრით მოუმატეთ და დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქორონიკონი სიგლისა უდრის 1408 წელს, ხოლო ინდიკტიონი უჩვენებს კოსტანტინეს გამეფებას 1405 წელს. რომელი კოსტანტინე უნდა იყოს ეს კოსტანტინე? ჩვენს წყაროებში ცნობილია იმერეთის მეფე კოსტანტინე II, შვილი ბაგრატ I-ისა. ეს კოსტანტინე გამეფდა 1395 წ. და მოკლულ იქნა 1401 ანუ 1402 წელს. ამას გარდა ცნობილი ქართლის მეფე კოსტანტინე II, ძე მეფისა ბაგრატ V-ისა დიდისა, რომელიც მიიკვალა 1414 წელს და დასაფლავებულია ვარძიაში, მისი ძმა მეფე გიორგი VII გადაიკვალა 1407 წელს. მიღებული ქრონოლოგიის მიხედვით, ჩვენ სიგელში მოხსენებული კოსტანტინე უნდა იყოს ეს უკანასკნელი კოსტანტინე. ესე იგი ბაგრატ V-ის დიდის შვილი. თუმცა გელათის მეღვინეთ-უზუცესისათვის სიგლის მიცემა ჯერო კოსტანტინე II-ის იმერეთისას უნდა შეეფერებოდეს, მაგრამ იმ დროს, რომელსაც სიგელი ეკუთვნის, იმერეთი ხან უერთდებოდა ქართლ-კახეთს, ხან შორდებოდა და მეფეებს რიგი, თუ რომელი რომელს შემდეგ მფობდა, ჯერ საქმოდ გამორკვეული არ არის, ამიტომ საბოლოოდ გადაწყვეტა იმისი, თუ რომელ კოსტანტინეზეა აქ საუბარი, მომავლისთვის მიგვიჩვენია. ჩვენ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ შვილები არც კოსტანტინე II-ის იმერეთისა და არც კოსტანტინე II-ის ქართლისა ცნობილი არ არიან ჩვენს წყაროებში. რამდენათაც ჩვენი სიგელის ტექსტის მელანი მქრალია, იმდენათ შავია და კარგათ დასული ხელ-ჩართულნი, კრებილიანი ხელის მოწერანი სიგლის ბოლოს. ეს სიგელი ძლიერ საყურადღებოა, ის ჩვენის აზრით, ამტკიცებს ვახუშტის ცნობას, რომ ბაგრატ V დიდის შემ-

დღე მეფეთ იყო ჯერ გიორგი VII და შემდეგ კონსტანტინე II. ბროსემ კი ეს ცნობა უარყო. სიგელი გამოგვიგზავნა ბ-მა რაჟდენ დათეშიძემ.

1408, ივლისის 4.

სხელათა დმროთისთა კონსტანტინესგან ბაგრატიონისა, ძისა ბაგრატიის, და ძეთა ჩუენთა [სსურკეთა ალექსანდრე, ბაგრატ, და გიორგი] იხსენს, ნებთა ღთისთა აფხაზთა, ქართველთა, რაზთა, კახთა და სომეხთა შეუქმთა, შარვანძა და შანშე [და] ყაფლის აღმოსავლეთის, საქართველოს და ჩრდილოეთის, ღიბთ-იმერის და ღიბთ-ამერის კელმწიფედ თუთა მიფლად ბელ-მჭერობელასსა, მოვიდეს წინაჲ (წე) ჩუენს ცირდილასიძენი დიდის გენათისა და ცათა შობასთვის, ახლისა იერუსალიმისა, მეღვინეთ-უხუცესისა სავროზ, მისნი ბიძისა და ძმანი, ვარდან, შალვა, ივანე, დედუნაი, ესტატე, გუეაჲს და შოგუაჲსენეს, რათამცა ერთგულობა-ნამსახურთა მისთას სანაცვლოდ სიგლითა ამით შეგუეწყადა, შან(ა)თა ჩუენთაგან ძეგლად შეწყაღებულნი სსისხლოთა სიგლითა და დასხმულნი კელდასმით\*). ძმისა ჩუენისა, მეფისა გიორგის, სიკუდილისა შედგად მათითა აკვანობითა კურსებმან ძეგლი სსისხლო სიგელი დაუწვეს და წაუხდინეს. დაგუაჲკერა დმერთმან, ვისმინეთ ჰ(ა)ჲს და მოჲსენებ დიდად კართა ჩუენთა ზედა და ჩრდილთა და ნამსახურთა და დიდის მონასტრისა, ახლისა იერუსალიმისა, გენათისა მეღვინეთ-უხუცესისა ჩავროზისი, მისთა ძმთა და ბიძთა, ცირდილასიძეთა, ვარდანისი, შალვასი, ივანესი, დედუნასი და ესტატესი შეუწყაღეთ და მიუბოძეთ ახლად ძეგლი იგვე სისხლი, შან(ა)თა ჩუენთაგან გახენილი, ას ოცი ზასი ძეგლი თუთრი მისთა დასამსხლელ(სი) სსისხლოთა. ჰქანდეს სსისხლო სიგელი ესე ცირდილასიძეთა, მეღვინეთ-უხუცესსა ჩავროზს, ვარდანს, შალვას, ივანეს, დედუნას და ესტატეს, მათთა შვილთა და სამშობლოთა და სხლასი შვილთა და მომავლთა ყაფელთაჲ ბრძნება (ბზ) და სიგელი ესე ჩუენგან ბოძებული, კარისა ჩუენისა ვაზირთა, ერისთავთ კონსთავთა, მანდატურთა უხუცესთა, დადიანთა, ათაბაგ-

\*) დედანში სწერია: კელდასმათ.



ამისასაღარათა(sic), სუანთა ერისთავთა, გურიელთა, ქართლის ერისთავთა, დიდებულ აზნაურთა, ქალაქთა ჩუენთა ამირათ ამირათა, მეჭურჭლეთა და მეჭურჭლეთ უხუცესთა, ციხის თავთა და ყოველთავე ჩუენთა კელის-შქონე ულთა, დიდთა და მცარეთა, დაუმტკიცეთა და სუ ვან უმლათ ბრძანებესა და სიგელსა ამას და სურცა რას ვინ დაკლებო(sic), სუ დადთა და სუ მცირეს, თუ(ი)ნიერ თანა დგომისა და შეწყებისა, და თქუენ, წმიდანთა მეუუენთა, აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზ(ნ)თა და ყოველთავე მადლეთ-მოძღუარნო, დაჯერებით დაუმტკიცეთ. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონისა მკობისა ჩუენისასა წელსა მესამესა, ქრონიკონისა(sic): ჟუ: აგლისისა: და: კელთა მწირველისა ჩუენისა გ უ რ გ ე ნ ი თ ი ა :

პირველი ხელის მოწერა, ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს:

ქ: კოსტანტინე- ნებითა დმრთისათა.

მეორე ხელის მოწერა, ჩვენის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს ალექსანდრე მეფეს, მცხეთის ამშენებელს (1413—1442) და ასე იკითხება:

ქ: შეუეთა შეუეთ: ალექსანდრე: მოწამე: ვარ.

**462.** სასისხლო სიგელი ორალელისძეთა-კვიტაშვილთა, ბოძებული მეფე გიორგი მე-IX-ის მიერ, 171,5 X 20 სანტ., დაწერილია კარგს ეტრატზედ მრგვალი მეთუთხმეტე საუკუნის მხედრულის ხელით. თავში პირველი სტრიქონი და ტექსტის მეორე ნახევრიდან ახალი პარაგრაფების დასაწყისის ორ-ორი ასოები ნაწერია წითელის მელნით, დანარჩენი ტექსტი შავის მელნით. ნიშნებათ ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი. ეტრატი შესდგება სამი ერთი ერთმანეთზე მწვანე აზრეშუმის ძაფით მიკრებულის ნაჭერისაგან. მარჯვენა მხარე ეტრატისა, მეტადრე მესამე ნაჭერში, დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვის ნაწილები აკლია. ნაკლები ასოები ჩვენ დავუმატეთ და დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. აგრეთვე ძრიელ დაზიანებულია თავი სიგელითა, სადაც ყოფილან ფერადებით დახატულნი: მეფე ალექსანდრე, დადიანი ლიპარიტ და ლიპირიტის ძე გურიელი მამია\*). სახელები

\*) რამდენათაც შესაძლებელი იყო ეს სურათები გადმოიღო ახალგაზდა-მხატვარმა შავარდნაძემ. გიორგი IX აქ იპავე ტანისამოსით არის წარმოდგენილი ტახტზედ ფეხ-მოკვეციტ მჯდომარე, როგორც ურულის

სურათებისა თუმცა მკრალათ, მაგრამ მაინც მოჩანან. სიგელი ძრიელ საყურადღებოა. აქ პირველათ გვხვდება ზოგიერთი საყურადღებო ტერმინები. ამას გარდა იმ დროის დადანი ლიპარიტ და ძე მისი გურიელი მამია სხვა წყაროებში ცნობილნი არ არიან. თუმცა ვიცით, რომ მამია II გადაიცვალა 1414 წელს, მაგრამ იგი მოხსენებულია ვამეყ I-ის შვილათ (H. G. II, 2, p. 646). ამ გიორგი IX ეკუთვნის ჟურულის სასისხლო სიგელიც, რომელიც ჩვენ დავსტამბეთ „საქართველოს სიძველენის“ პირველს ტომში, № 2. ინდიკტიონი ჩვენი სიგლისა გიორგის გამეფებას უჩვენებს 1448 წელს, ხოლო მიღებულის ქრონოლოგიით ის გამეფდა 1445 წელს, ქორონიკონი უდრის 1463 წელს. სიგელი დროებით ჩამოგვიტანეს იმერეთიდან.

1463. ქ. სსხელითა და ნებითა ღთისითა, შეწყენითა და თანა მოქმედებითა ძისათა, და მადლათა სულასა წმიდისათა, და მეოხებითა უოკელთა წმიდათა შისთათა, და შუამდგომელობითა ეოვლად უბიწოისა მშობელისა მისისათა, ჩუენ, ორისავე ტახტისა და სამეფოისა, ღიხთ-იმერისა და ღიხთ-აშერისა, აფხაზთა, ქართუელთა, რანათა, კახთა და სამეხთა, იესიან, დავითიან, ნებროთ-სოფლამონიანისა, თუითა ფლობით კელშწიფედ, მტეიცედ მზერობელმან, შეიუეთა შეიქმან გიორგი, და თანაშეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმან ნესტარ-დარეჯან, და ქემან ჩუენმან ჰირმშომან ადექსანდრე, ესე წყალობისა და შეწყალებისა ჰიტაკი, სიგელი და მანშუარი(sic) განაჩენი ამისად ნიშნად გიბოძეთ და შეგიწყალოთ, და გაგიახდეთ ძუელად განაჩენი სასისხლოი სიგელი. შემოვიდეს შუადანი ღიხარიტ და ქე მისი გურიელი მამია და სხუანი იმერელნი, თავადნი და დარბაზის კრნი. ვქენით მოკიასკელი და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, და ძუელსა განაჩენსა ზედა გაგიჩინეთ ახალი ესე ჩუენგან შეწყალებით მოტეპული სასისხლოი განაჩენი სიგელი და ძუელად ჩქ წადებული, თქუენ, ჩუენსა დიდად

სიგელში. გიორგი მეფე ზემოთ არის დახატული, მის ქვემოთ მარცხნივ ხატია დადანი წარწერით: დადანი ლიპარიტ, და მარჯვნივ — გურიელი წარწერით: გურიელი მამია.

ერთგულად და თავდადებით ნამსახურთა, ჩუენსა თანა-აღზრდილს-  
შეზრდილსა, ო რ ა ლ ე ლ ი ს ძ ე თ ა კ უ ი ტ ა ს შ ვ ი ლ თ ა, მღღელ-  
მონახონსა ი ო ვ ა ნ ე ს და თქუენთა ძმათა, თ ა ე ა ს, გ ი ო რ გ ი ს,  
ა ს ა თ ს, ს უ ლ ა ს და ს ა გ ი ნ ა ს ა, და გაგინიეთ სრული სისხლი  
ოთხასი ათასი ძუელი ცხუშური, სხანხშირესა, ს'ხანს და წინა-გასა-  
ძღომისა გარეთ, და სრულის სისხლისა წინ-გასაძღომი ოცდა-ათი-  
ათასი ცხუშური. ძუელს:ც განჩენს:ც აგრე ეწერა და ჩუენცა მითვე  
წესითა გაგინიეთ.

ღმერთმან (ღ'წ) ხურადეს მოაუღინოს, რათა კაცისა კელითა  
უბრალოისა კაცისა სისხლი დაიახიოს, და თუ მოჰკადეს და შენი  
გუარი კაცი მოიკლას კაცისა კელითა, დიდითა შემოხუეწათა და წინ-  
საძღომითა ოცდა-ათი ათასითა, ოთხასი ათასი ძუელი ცხუშური და-  
გუურვოს და ამავე განჩენსა მოკითხვითა:

თუ ცოლი წაელოს თქუენსა გუარისა კაცსა, ორასი ათასი ცხუ-  
შური დაგიურვოს.

და თუ ვინმე იკადროს და ზედა დაგესხას და დაგარბიოს, თუ  
სასახლეს ზედა დაგესხას, რაცა ალაფი წაელოს, უკლებად შემოაკემ-  
ცეს და სრული სისხლი დაგიურვოს.

და თუ ცოლი მოუ...ნას, ნახუვარი სისხლი დაგიურვოს.

და თუ ანუ თუადისა წამოგდესითა და ანუ სხუად საე ჩარისა  
დადებითა, — სისხლისა შემოახუდი დაგიურვოს.

და თუ გუამად ეკლესია კაციტუხოს, რაცა ებიკოპოსთა და  
რჳუელმან უეოს, იგი კარდაჰკადეს.

და თუ ვინმე ჭოგი კაციტუხოს, სისხლისა შემოახუდი დაგი-  
ურვოს.

თუ აგინოს ზირდაზირ დაშქართა ზედა უსმართლოდ, ოთხი-  
ათასი ცხუშური დაგიურვოს.

თუ უღირსმან კაცმან კაცინოს, სამოცა ათასი დაგიურვოს.

თუ უსმართლოდ მუფეთა წინაშე (წ'ე) შეგასმანონ, სისხლისა  
შემოახუდი დაგიურვოს.

თუ დადი იუოს უჩინარსა ადგილსა, მისითა წესითა უზღოს,  
რაც სრულისა განჩენისა გახუდიბოდეს.

თუ წუერი დაგლიჯოს, ანუ მოჭკუეთოს, ორი გერმა დაგიურვოს.

თუ უმეიომანს კაცმან ანუ კელთა შეგიბურას, ანუ საომარი წავიდოს, ანუ ცხენისაგან ჩამოგავდოს, სისხლისა ნახუვარი დაგიურვოს.

თუ თქუენი ქალისა შვილი ვინმე მოკლას, თქუენი ნახუვარი სისხლი დაეურვოს დედულობით, მასითა სსხათთა და სსხაკმარათითა.

თუ ვინ მოახლე წავიდოს, ას ოცი ათასი დაგიურვოს.

თუ უსმართლოდ შექარა ვიხთოს, ათი ათასი დაგიურვოს.

თუ ზედ დასხმას შიგან დედაკაცისა შვილი მოსწყდეს, სრულად სისხლი დაგიურვოს.

თუ სოფელი დაგიბობოს ვინმე, ალთაუი უკლუხად შემოგექცეს და ათი ათასი ცხუმერი დაგიურვოს.

თუ ვინმე წისქული გავიტეხოს, ოცი ათასი დაგიურვოს, ამით რომე ეთქვან ადამის შვილისი მისგან იზრდებიან.

თუ თქუენისა გუარისა კაცი ერისა ხუცესი გამოვიდეს და მის ანუ ცოლი წავიდოს, ანუ მოეტ.ნას გინა უზედაკისისაგან, გინა უქუედაქისისაგან, მისსა სისხლსა სამოცი ათასი სხვა ემატოს.

აწ რაცა თქუენისა გუარის კაცისაგან, ანუ დიდი და ანუ მტარი, ანუ ტ[ანი]თა, ანუ თაყითა, ანუ შვილითა და მსახურითა, ანუ ქალითა და მოა[ხლითა] და ანუ სხუითა რათამე უზატობითა, ვინცა ბრჴენი და [მოსამ]ართლენი, შოურავნი დასხდებოდენ, ამა ზემოდ წერილითა განახინითა განხდებოდეს.

გქონდეს ბრძანება და სიგელი ესე ჩუენგან წყალობით ვახეხადი თქუენ, ჩუენსა დიდად და ერთგულად თავ-დადებით ნამსახურსა და თანა-აზრდილ-შეზრ[დილსა] ო ღ ა რ ე ლ ი ს ძ ე ს ა (სი), მდღელსა-მოსახონსა ი თ ვ ა ნ ე ს და თქუენთა [ძმს]თა უკუენისმდის წყალობით ვა'ათავებული სრული სისხლი[სა] განახინი ჩიქი და სიგელი, გქონდეს და გიბედნიეროს დმერთმან (ღ'ნ) [ჩუუ]ჩსა ერთგულად სამსახურსა შიგან და არავინ იყოს შილ ღი და შქცუეული ამა ჩუენგან შეწყულებით მტკიცედ ბრძანებულისა (ბ'ბულისა) სსსსხლოისა სიგლისა, თუნიერ შეწყუენისა და თანადგომისა. და აწ თქუენცა, ქრისტეს შიერ გურთხეულსა ქართლისა და ე. [იხთ]-იმერისა ებისკოპოსსა,

უკუვარობით დაუშტკაცეთ. დაწესება ბრძანება (ბრძა) და საგეგმა ესე ქეთათის ინდიკაციისს შეყვანისს \*) [სე]ქსისსს ათხუთმეტს, კნსს(sic): რსა: კელათს ფრად ცოდველსის კართვა ვერუდას-შიფდისათს. თავში პირველ ხელის მოწერას აკლია ერთი სიტყვა, დანარჩენი მქრალის მელნით ნაწერი იკითხება:

...ქემს შეყვანს შეყვანს გ.ა. (მოხუცს ადგილზე უნდა წერებულყო ჩვენის აზრით: „გიბოდეთ“). შემდეგ მოყვანილია შავის მელნით ხელჩართული ხელის მოწერა მეფე ალექსანდრესი, რომელსაც ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ქემს ალექსანდრესი შეყვანს და გიბოდეთ. ეს ხელის მოწერა ან უნდა ეკუთვნოდეს გიორგი IX შვილს ალექსანდრესს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ მეფედ არ იხსენიება, ან იმერეთის მეფეს ალექსანდრე II (1484—1510).

**463.** განჩინება მეფე ალექსანდრეს და ბატონიშვილის ერეკლესი ასლან ბებურიშვილის და ფარსადან ონანაშვილის ერთმანეთის დაკრის შესახებ, 31 X 10,5 სანტ., დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. აქ მოხსენებული მეფე ალექსანდრე არის კახეთის მეფის დავით მეცამის შვილი, ალი-მირზადაც წოდებული, რომელიც გამეფდა კახეთში 1736 წელს.

1737, იანვრის 21.

ქ. ბებურიას შვილი ასლან და ონანას შვილი ფარსადან ცოტას საქმეზედ წავიდებულნი და ერთმანეთით დაეჭრათ, მაგრამ ბებურიას შვილი ასლანს უფრო დაჭრილი იყო და ასლანს მის შაკადამიდიყო ონანას შვილს. ახლას მოუადრეს და ილაზარაკეს. ჩვენ შეფუძნა ალექსანდრეს და ბატონიშვილსა ერეკლეს და დარბაისელთ ევისკაზაჩებთან ეს ერთმანეთის დაჭრილობა და მის შაკადამს გაგმინჯეთ. რადგან ასლანს ძალიან დაჭრილი იყო და სთესუნა იყვნენ ერთმანეთისა, სისხლი მისთავის შეუძლებულეთ და ათხუთმეტს კაცს კაცს გაუხსნეთ ასლანს ბებურიას შვილს. ამ ათხუთმეტს კაცში ორა კომლი ამის დაჭრილობაში და მის შაკადამისთავის ჩურთეინეთ და ერთი კომლი კაცს ბატონს და დარბაისელთ ვაჭარბეეთ და ერთი კომლი კაცს თავისას მსმულით ასლანს შაკადამით. და დღეის

\*) ეს სიტყვა გამეორებულია დედანში.

იქით ერთმანეთთან ძმობისა და მსაყრდისის მეტი სიდავითა და სიდა-  
ზარაკით აღარა აქვთ რა. დაიწერა იანვრის კა, ქარანნიკანს უკკ.  
ის ერთი გამომდი ასეთი მიეცით, რამ არც კარგი იყოს და არც  
მდარე. ბეჭდებს აწერა: „ძირ მოდგამ დავითიანი ალექს.ნდრე ვარ სვი-  
ანი“, „ბატონიშვილი ერეკლე“, ღვთის მონობით მეფის ყმობით ენი-  
სელთ მოურავი დავით“, □ □ □. კ ა თ ა ლ ი კ ი ო ზ ი (ხართულათ).

**464.** მეფე თეიმურაზ II-ის წერილი თავის შვილის ირაკლისადმი, სპარსეთიდან მოწერილი. ეს წერილი დაბეჭდილია „ცისკარში“ 1859 წ. № X, გვ. 156. წერილი როგორც ეტყობა, ნათარგ-  
მნია რუსულიდან, ხოლო ქართული დედანი მისი სად არის, ან იყო, ამაზე ცნობა არა გვაქვს. წერილი უნდა ეკუთვნოდეს იანვარს 1737 წლისა, ან დეკემბერს 1736 წლისა, ვინაიდან ვიცით, რომ ამ წერილის გამომ ირაკლი გაემგზავრა სპარსეთში თებერვალში 1737 წლისა.

1737<sub>2</sub>. იანვარი.

სისურველო ძეო ჩემო! სიდაცა სპარსეთი შეგვემთხვეკის, იქ  
საკეთებთა მოგვედის. მეცა იძულებითა მოგაწერ ესრეთ, რამე მსჯეს  
ჭსურს განთავისუფლებას ჩემი ტყვეობისგან, განნა მხალად ითსავს  
მოსვლას შენს და რათა თანა წარმოიყვანო ასუღიცა ჩემი და და  
შენი ქეთევან. მხალად მოსვლად შენი აქა, სწარსკითად, მომანთქების  
შე განთავისუფლებას ტყვეობისგან. ესრეთიას ნება მსჯის. შეევე  
თ ე ი მ უ რ ა ზ .

**465.** წერილი ერეკლე ბატონიშვილისა თავის დედა თამართან მი-  
წერილი განჯიდან. დაწერილია ქალაღდზე ნუსხა მხედრულის  
ხელით. ნიშნებათ ნახმარია ყოველი სიტყვითა შემდეგ ორ-ორი  
წერტილი. ერეკლეს თან ახლდა სპარსეთში გამგზავრების დროს  
სხვათა შორის მოხუცი ასლან ონანაშვილი, მაგრამ რადგან ის  
გზაში უქეიფოთ შეიქნა, ირაკლიმ დააბრუნა უკან საქართვე-  
ლოში და ეს წერილი მოსწერა დედოფალს.

1737, თებერვალი.

ქ. ღმერთმან ბატონის დედაფლის ერთიას წუთიას შექვენის

ჭირის სწავლა ამოფოს მკათის მოშორებისათვის დიდათ შეწუხებული ერეკლე. შერმე ეს ასლანი ერთი ბერი კაცი არის და თან აღარ წავიფანე, ისევ დაჰბრუნე. რასაც ამასედ თვალს და უურს დაიჭერთ და გებრალებათ, თქვენ იცით. გავს\*) რომ ამას ემა ეკანდა, ამისი მეც წყალობა უფავი და თქვენც წყალობა უფავითა, რადგან ეკელას ვისმენ უბოძეთ, ამას ისევ უბოძეთ ჩვენის გულისთვის, თუ არა, იხტიერი თქვენია, ამასედ სუ გამიწერებთ. ბატონიშვილი ერეკლე.

**466.** სიგელი ერეკლე ბატონიშვილისა, ბოძებული ასლან ავალი-შვილისადმი ინდისტანს, ქალაქსა შაჰჯანაბადისასა, დაწერილია ქალაღდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ოროი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1738. ნებითა და შეწვენიათა ღვთისათა, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ბატონიშვილმა ერეკლემ, შენ, ჩვენს ერთგულს და თავდადებით სამსახურსა ავღლიძგისასლანს მილახვარს, ასე რომ უნდაარს რომ შაჰნადირ ევენმა გვიბძანა, მაშინ შენც თან მახლდი, ბუერს გვემსახურე და კიდე ინდისტანს ჩამოგვეუე და იქაც ბუერს გვემსახურე. ახლა ამ სამსახურის სანუეკეთ, გიბოძეთ ჩვენი სახსო ჩუღაყი. უწინაც შაჰის ჩემის, ბიძის ჩემების წიგნები გქონებოდა. როგორც იმაში ეწეროს, ისრე ჩვენც გიბოძებია და დაგვიმტკიცებია. გიბოძეთ და წყალობა გიუავით დავითს ნახირს და შენს ბიძაშვილს ასლანს მილახვარს და შვილს შენსა გიარგის და მომავალთა სახლისა შენისათა. მოგცეს და გიბუნდეროს დურეთმა ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შინა. არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან არ მოგეშალოს. დაიწერა წიგნი ესე ინდისტანს ხელითა ზარეთისათა, ოკლონერს ბ, ქალაქსა შაჰჯანაბადისასა, ქარონიკონს უკუ. ბატონიშვილი ერეკლე.

ამ სიგელს ხელახლა ამტკიცებს მეფე ერეკლე 22 მაისს 1784 წ. და მასთან ერთათ სიგელს ამტკიცებენ 23 მაისს დედოფალი დარეჯან, ბატონიშვილი გიორგი, იულონ და ალექსანდრე.

\*) უნდა იყოს: „გავახს“.

**467.** საფიტრის წიგნი, მორთმეული გივი ამილახვარისადმი მისი სახლის კაცებისაგან, დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით.

1735. ქ. ესე ძმობის და ერთობის წიგნი და ზარი მორთვით ჩვენ, ა მ ი რ ი ნ დ ო მ და ძმამან ჩვენმან, მროელმა ათასნასემ, თქვენ ა მ ი ლ ა ხ ო რ ს გ ი ვ ს, ძმასა თქვენსა იოთამს, ბისძვილსა თქვენსა იანეს, დემეტრეს და ბარძიმსა, ასე რომე რევანიშვილმა იოთამს და ბეუნიშვილებმა უდასაშუალოთ ჩვენი წახდენა მოინდომეს, არაგვის ერისთავი ბარძიმ და ამერიჭიბი ალი-ყული-ბეგ მოიხმარეს, ხანთან გვაბეზლეს დაუნაშავებლათ, ამილახვრობაც იოთამს იშოვნა, ჩვენი და თქვენი დაკარგვა და დახოცა მოინდომეს. გამოვეცდენით, რაც რამ ან სთავისთავ, ან საუთო ჩვენი წილი დაახელეს, აიკლეს, დაარბიეს, ვინც გამოასწრა, მამული და უმა გაუშვეს, ჩვენთან მოკიდნეს ჩვენი მსახური აზნაურიშვილი, ჩვენ უწინაც ერთნი ვიყავით და ახლაც ეს ზირობა დავდევით: ჩვენ ერთმანეთს არ უმტყუნოთ, ერთთა ვიყუნეთ, ამ სჯამეზე სიანი და სარგებელი ერთი იყოს, ვინც გვინდომოს, ერთგან ვინდომოთ, ვინც არ გვინდომოს და მტერი იყოს, ჩვენც იმას ერთად უმტეროთ. რომელმაც ბატონმა ერთს წუალობა გვიყოს, მეორესაც უშოვნოთ, ერთმანერთი გამოავიტნათ. თუ რამ გვექნდეს, ერთმანერთისთავის არა გვშურდეს, ვინც მოგვედეთ, ერთმანერთი დავმარხოთ, ვინც ცოცხალი დარჩეს, იმას მოუაროს; ვინც თქვენ არ გინდომოს, ჩვენ ის კაცი არ ვინდომოთ. რევაზ რომა ციხეში მიუხდა და დაიჭირეს, იმისიც, როგორც კამჯობინოთ, ისე ვქნათ. თუ კიდევ იმისგან უფრო ჩვენი წახდენა მოინდომეს ჩვენმა სახლის კაცებმა, ჩვენც ერთად უმტეროთ. ეს ზირი და თეცი დავგვიდა, ვინც ამჟამი იმტყუნოს, მასმცა რისხავს მამა, ძე და სული წმიდა, დაუსაბამი ღმერთი და უოველნი მისნი წმიდანნი, და ორსავე სოიველსამც დაიკარგების. არიან ამისი მოწამენი: ჩვენი სახლთ-ხუცესი შიამი, მოძღვარი-წინამძღვარი შელქიზედევ, ჩიკოტიძე ამირან, ქარუმიძე თამაზა, ქარუმი და ბესარიან, დემეტრე, დაზნელი ზურაბ, ჯიშარიტიშვილი ბეუან, სულ ჩვენი მსახური და აზნაურიშვილი. მე დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაწერა ქვს უბბ.



**468.** ბძანება ალი-ყული-ბეგისა, გამამადიანებულის ამირეჯიბისა, რომელიც ყენის ვეკილათ ითვლებოდა ცოტა ხანს ქართლში, მდივან გორჯასპისადმი,  $21,5 \times 10,6$  სანტ., დაწერილია ქალღმერთზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1735. ქ. ვეკილის ალი-ყული-ბეგის კეთილად მოსაგონარო მდივანო გორჯასპის შერმე, რასაც წამს ეს წიგნი მოგივიდეს, რაც რამე ანგარიშის დაუთარები გქონდეს, ან სურათისათვის ან სხვა რამ დაუთარი, სულ თან წამოაიდეგ და ახლავ წამოადი, არ დაიგვიანო. თათრული ბეჭედი უხის.

**469.** ვეკილის ალი-ყული-ბეგის ბძანება ასპანისადმი,  $15,8 \times 11,5$  სანტ., დაწერილია ქალღმერთზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1735. ქ. ვეკილი ალი-ყული-ბეგის დიდა დევის წუგალობა, მხოლოდ ბატონო ასპანის მრავალი მოკითხვა და კარგად ყოფის სიხარული მომხსენება. შერმე ქაზუმხანისა და აკმრის ჯარის სურათით, რაც თუმანიანთ ეწერა, აქ გორჯასპის მდივანს და ამის ბიძაშვილებს გამოართვეს. ნაშუა თუმანიანთა ხელში ვერ ჩაეგდათ, რაც ამის ნაშუას წილათ სურათით შეკვდონ და შეხვდებოდეს, გამოურთვი და მოახარე გორჯასპის მდივანს. □ (თათრული).

**470.** ბართი ბეგან თუმანიანისაგან სურათის მიღების შესახებ,  $9,7 \times 6$  სანტ., დაწერილია ქალღმერთზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი

1636, იანვრის 11

ქ. მოიტანა თუმანიანის შვიდი ბეგანამ ზემო ქართლის სურათისა, კოდზე არა შურისა, ათი თუმანი, იანვრის (ია), ქვს უკდ. □ (თათრული).

**471.** სიგელი დედოფლის თამარისა, თემურაზ II-ის მეუღლისა,

ბოძებული აბელ მოურავის ანდრონიკაშვილისადმი, დაწერილია ქალაქზე ნუსხა მხედრულის ხელით.

1736, თებერვლის 25.

ქ. ჩვენ, ქართველთ მეფის ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, ბატონმან თამარ, ესე წყალობა გიყავით თქვენ, ჩვენს დიდათ ერთგულს და თავდადებით ნამსახურს მოურავს, ბატონს აბელს, ასე რომე იორსედ ჩვენი სადედოფლო ელი არუხლუ თქვენთვის სამკვიდრათ გვიბოძებია და წყალობა გვიქნია, როგორაიაც წესი და რიგი იყოს, იმ რიგათ სამევიდრათ მოგვიბოძებია, რამ სსვას ხელი არავის ქქონდეს. დაწერა თებერვლის კე, ქკს უკდ. □ ბეჰედს აწერია: „ბატონიშვილი თამარი“.

**472.** წყალობის წიგნი თამარ დედოფლისა, თეიმურაზ II-ის მეუღლისა, იასე ეშიკადასბაშის ანდრონიკაშვილისადმი. თარიღი არა აქვს, მაგრამ ეს წყალობის წიგნი წინა სიგელის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი და გამოწვეული აბელის დაბეზლებით თამართან.

1736—1737. ქ. ჩვენ მაგიერად იასე ეშიკადას-ბაშს ასე უნბეთ: მერმე შენც მიაიკითხე და მართალი შეიტყე, შეცდამათ არ მოგივიდეს, ჯავახის წიფსედ ხელი ამართუ და კიდეც შიიბარე და ბეჰანისშვილის წიფს მამულთან ხელი სუ გაქვს და არც გვიბძანებია. ბეჰედს აწერია: „ასულო ჩემო, დავით მრქვა, შენ იყავ ჩემი ამარი, ვანტანგ მეფისა ასული და დედოფალი თამარი“.

**473.** ბარათი თუმანიშვილის სურსათის დანარჩომის ყაბზის მობარებისა შანავაზ ბატონიშვილისადმი; დაწერილია ქალაქზე ნუსხა მხედრულის ხელით.

1737, თებერვლის 11.

ქ. მოგვებარა ჩვენ ბატონისშვიფს შანავაზს მირზას ოუშანისშვილის ძეგლის სურსათის დანარჩომის ყაბზი ოცდასამის კოდისა და ექვსის ლიტრისა, თებერვლის კე, ქკს უკე [შანავაზ].

- 474.** მობარების წერილი, 12×5,8 სანტ., დაწერილია ქალაქში ნუსხა მხედრულის ხელით; ნიშნებით ნახმარია სამ-სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1737, თიბათვის 7.

ქ. მამუბარა მე ს (ე) ი თ ა უ ს ი ნ ა ს თ უ მ ა ნ ი ს შ ე ლ ი ე ა რ დ ა შ ა ს და გ ი ო რ გ ა ს კ ა ნ ა ე ე მ ა ქ შ ა ს მ ა ნ ს ი ლ ა ს ც ი ხ ი ს მ უ შ ა ს თ ე თ რ ი მ ი ნ ა ლ ა თ უ ნ ი თ ხ ე თ ი მ ე ტ ი, თ ი ბ ა თ ვ ი ს შ ე ი დ ს, ქ ე ს უ კ ე. □ (თათრული).

- 475.** მირის მიბარების ბარათი, დაწერილია ქალაქში ნუსხა მხედრულის ხელით.

1737, თიბათვის 15.

ქ. მამუბარა მე ს ე ი თ უ ს ე ი ნ ა ს წ რ ე ვ ა ნ დ ე ლ ი მ ი რ ი ს, მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ს ო რ მ ო ც ი თ უ მ ა ნ ი ე წ ე რ ა, ი მ ი ს ა ნ გ ა რ ი შ შ ი, ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე დ ა ვ ი თ ა ს ა გ ა ნ, ს ტ ე თ ა ნ ა ს შ ჯ ლ ი ბ ე რ ი ს ა გ ა ნ, გ ო ვ ა ი ს ა შ ჯ ლ ი ტ ე ტ ი ა ს ა გ ა ნ ხ უ თ ი თ უ მ ა ნ ი. ი ე თ ი ბ ა თ ე კ ს, ქ ე ს უ კ ე. □ (თათრული).

- 476.** ბძანება სეფი-ხანისა, რომლითაც ოსებს უბოძებს ლევან მუხრან-ბატონიშვილს, დაწერილია ქალაქში ნუსხა მხედრულის ხელით.

1737, მკათათვის 12.

ქ. ჩეენი ბრძანება არის, რაც მუხრანის ბატონისა, ან აზნაური ან გლეხი, კაცი და ციხეებია მთასა თუ პარს, შ ა ნ შ ე ს ძ ა ლ ა თ ე კ ბ ი რ ა ო ს ე ბ ი, ი ს ე ე ს ე ლ მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი ს დ ე ვ ა ნ ი ს ა თ ა ს წ ე ა ლ ო ბ ა გ ე ჯ ნ ა ა და ა მ ი ს ა თ ა ს გ ვ ბ ო ძ ე ბ ი ხ ა რ თ, ე ვ ე ლ ა ნ ი მ ო ლ ე კ ე თ და მ ა ს ა მ ს ა ხ ე რ ე თ და ა მ ი ს ი ს ს ი ტ ე ვ ს მ ო რ ჩ ი ლ ი ი ე ა ვ ი თ. დ ა ი წ ე რ ა მ კ ა თ ა თ ა ს ი ბ, ქ ე ს უ კ ე □ (თათრული).

- 477.** მობარების წერილი 15,5×8,8 სანტ., დაწერილია ქალაქში ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ორ-ორი წერტილი.

1737. ქ. მამუბარა მე ს ი ა თ ა უ ს ი ა ნ ა უზბაშ(ს) ამა ბარათის თეთრია(სიე) ცხრა თუშანი თამამათ, ქვს უკე. □ (თათრული). გვერდზე უწერია: ქ. თუშანათი ა (ცხრა თუმანი).

478. მობარების წერილი 14,8 X 9,5 სანტ., დაწერილია ქალაღდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. მეორე გვერდზე სპარსულათ არის დაწერილი და უზის სამი ბეჭედი.

1737. ქ. მამუბარა მე ს ე ი დ-ჰ უ ს ე ნ ბ ე გ ს ამ ბარათის კეზი\*) ცაშეტი თუშანი, ქვს უკე. გვერდზე უწერია: ამ წლის თ უ შ ა ნ ი ს შვიდების მირის ბარათია შვ (ცამეტი თუმანი). □ (თათრული).

479. მობარების წერილი 6,5 X 6,5 სანტ., დაწერილია ქალაღდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია თითო წერტილი. წერილს აკლია.

1737. ...ჩვენ თ ა რ ხ ნ ი ს შვიღს ზ ა ზ ა ს და ასან აღიბეგს უზბაშს თუშანიანთ სურსათის შ... რომ ამბარში მიბარა და ე... [სეფი]-ხანის რუემში ეშატიეკებინა... ის. ქვს უკე □ (თათრული). მეორე გვერდზე სწერია:

მამუბარა მე ზ ა ზ ა და ასან-აღიბეგს უზბაშის სურსათის რვა ხარვარი თამამათ, მარიამობის რ(ვას)... განზე უწერია:

შვიღის ხარვარის ებზის ებზა სეფი-ხანის სურსათისა.

480. ბრძანება სეფი-ხანისა 31 X 20 სანტ., დაწერილია ქალაღდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. ნახევარი ნაწილი სიგელისა უჭირავს სპარსულ ტექსტს.

1737. ქ. სარდარი ს ე ფ ი - ხ ა ნ გიბრძანებ თსვეღნეღებო და ვისაც თუშანის შვიღებისათვის მიწის მამული თუ ვენახი მიგიუიდათ, ამათ თავისის სოფლის ნასვიღისა და უსვიღის მირი თაგეთ-

\*) უნდა იყოს ვეჯი

თვის აწერია და ის მირი ამითი უნდა მისცენ, თქვენი ამთი დაღას-  
თან ხელი ნუ გაქვსთ, რაც თქვენგან მოსყიდული გქონდესთ, დაღას  
ამათი არის, და თუ სხვა რიგად სიტყვა გქონდესთ ვისმე, ჩვენ მო-  
გაკახსენეთ. ქვს უკე □ (თათრული).

**481.** წყალობის წიგნი სეფი-ხანისა ოთარ ამილახვარისადმი, 22 X  
15,2 სანტ., დაწერილია ქალღღებ ნუსხა მხედრულის ხელით.

1737. ქ. ჩვენ მაგიარ ჩვენგან ჰატიე დებუელს ოთარ  
ამილახვარს ასე უამბეთ: მერმე სხლელების და ჭაყვის ხეობის  
ოსი შენაჲს მოგუბარებია და შენი ზაფთში იყუნენ, ან თქვენ წადით  
და ამათი კომლი ასწერეთ და ან ერთი შენი კაცი გაგზავნე, რომ  
ამათი კომლი დასწეროს. თუ თქვენ წახვდეთ ქცხინვადს, მამასხ-  
ლისიც თან იახელით, და თუ შენი წასვლა არ მოხდეს, ერთი შენი  
კაცი და მამასხლისი გაგზავნე, რამდანი კომლი არის დასწეროს და  
დაეთარი შეინახე. როცა სხვას ოსებს ბეგარას გამოფარომუეო, იმ  
რიგათ, რაც მაგათი გამოსაღები ბეგარა იქნება, მაგათ ბეგარასაც  
მაშინ აგადებინებთ. დაწერა: მარიობის ა. ქვს უკე. ჭაყვის სეობის  
ოსებო, ოთარ ამილახვარის სიტყუს მარჩილა იყავით და რასაც ჩვენს  
სამსახურს გეტყუადესო, გაუგონებდეთ. □ (თათრული).

**482.** პირობის წიგნი ვაჩნაძიანთა კარდანახის ციხის აშენების შე-  
სახებ, დაწერილია ქალღღებ ნუსხა მხედრულის ხელით.

1737, მარამობისთვის 23.

ქ. ნებითა და შეწყვენითა ღვთისათა, ესე წიგნი მაგართვთ ჩვენ  
ვაჩნაძემ ბებურიის შვილებმა—მამრიზამა, ბებურ და  
თამაზ, გიორგიმ, ომან და რამაზ, გორჯასიმი, აადემურ, რევაზ—  
შვილებმა და მამაკალთა სახლის ჩვენისათა—თქვენ ვაჩნაძეს  
დასანს, ქაიხასროს შვას, აფხაზის შვას დაყაოს, აკათომშვას ბე-  
რანს, აკათომშვას რევაზს, შვლათა და მამაკალთა სახლის თქვენი-  
სათა. კარდანახის ჩვენი სახლი ვამჯობინეთ საციხეთი, ჩვენც ყაბული  
ექენათ, დაუდევით საგვარეულოთ, არას ჩვენის სახლის კაცს საქმე არ

ქქინდეს საძეოთ და სავგარეულოთ ამიერა უკუნისამდინ. მღკოთის  
თავდებობით არაიერი ღაშარაკი არა იყო რა. დაიწერა ესე წიგნი  
მარამობისთჳს ოცდა სამს გასუღს, ქქს უკე □ +.

**483.** სურსათის მიღების წიგნი, 8,2×4,4 სანტ., დაწერილია ქა-  
ლალღზე ნუსხა მხედრულის ხელით; ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი  
წერტილი. რიცხვი ასი ამ წერილში არაბულის ციფრებით  
არის მოყვანილი.

1738. ქ. ქქს უკე: მოვიღა თუშანიანი სურსათის საღიანი  
რუიდიამ, ახლადიბიდამ და გარეჯურიდამ ზური, ლიტრა ორასი, იქს  
სახეკარი 100 □. ბეკედზე კაცის თავია გამოხატული.

ქ. კანჯის სურსათი ავთანდიღას უაბზია.

**484.** მამულის მირის შეწერა თუმანიანთათვის, 12×14,6 სანტ.,  
დაწერილია ქალღღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ  
ნახმარია თითო წერტილი.

1735—1738. ქ. ბატონის აღავერდი-შირისა და ვექი-  
ლის აღიუღი-ბეკის დიდათ იმუღათ მისსჩენულო მდივანო  
გორჯასში და ერთობით თუშანიანი! ოქქენი მამულის მარი  
აცი თუშანი, ონდალუხი ორი თუშანი, ეს თუთარი გარიგეთ. თუ  
გინდათ სურსათი ჩამოიტანეთ გორს. ბეკედს აწერია: „ალავერდი,  
ქქს უკე. (გარდა პირველი ასოისა სხვა ასოები ქორონიკონისა არ განი-  
რევა). □ (თათრული).

**485.** წყალობის წიგნი ალი-ყუღი-ბევისა, 15×11 სანტ., დაწე-  
რილია ქალღღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმა-  
რია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდგე.

1735—1738. ქ. ვექილი აღიუღი-ბეკის დიდა მღთის  
წყალობაჲ, ძმა ბატონო ივარსა და ნი მერმე მრავალი მოკითხვა  
მომიხსენებია. მერმე ხიდისთავს რაც თუშანიმუღას ქაისოროს მამ-  
მული მთუეიდა გარბიელასათვის და ტანს ზირი, მოკითხული ვქქ-  
ნით და სათუშანიმუღოზუდ ყოფიღა და მენ ამით ღაღასთან ხელი  
ნუ გაქათ, დაეხსენ. მეორე გვერღზე უზის თათრული ბეკედი.

**486.** სითარხნის წიგნი თეიმურაზ II-ისა, ბოძებული გოგია ცისკარაშვილისადმი, დაწერილია ქალალღზე ნუსხა მხედრულის ხელით.

1737. სებიითა და შეწყენითა ღვათისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან ზნკრატანმან, შეუეთ შეიუემან და თვით კელმწიფემან, დიდის კელმწიფის კაკელმწიფეებულმან შეუემ თ ე ი მ უ რ ა ზ და თან შემცხედრემან, დედათვლად ღირს ქმნილმან, ქარაიელთ შეუეთ ასულმან, დედოფალმა თ ა მ ა რ მ ა, ზირმომან და სასურველმან ქემან ჩვენმან ბატონისშვილმა ერეკლეშ და იოანემ, მისწულმან ასანპირხემ, ეს წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალებით და გიბოძეთ შენ გურჯაანელს თამაზის უმას ც ი ს კ ა რ ა ს შ ვ ი ღ ს გ ო გ ი ა ს, ღვინიანს, გურამს, მამუკას, შვილთა და მოძაყადთა სახლისა შენისათა, ახატობის წყალობა, არა სათხავარ არა გეთხოვებოდეს რა: არა საკელმწიფოთ, არა საბატონო გამოსადეგები, არა ზური, არა დავინო, არა საკლავი, არა გამოსადეგები არა გეთხოვებოდეს რა, უწინაც ნამსახური კაცი იყავ; ახლა ბატონისშვილი ერეკლე უკენს კარზე ახლდა, იმის საშისხურზე გავისტუმრეთ. იმის სახუფეთთ ჩვენ ეს წყალობა გვიქნია. არ მოგეშადოს ჩვენგან, არა სხვათა შეუეთ და შენატრანეთაგან. გიბრძანებთ, კარისა ჩვენისა კეჩილ-ვაჭირნო და ეოკელნო მისაქმენო, თქვენც ასე დაუბტეიცეთ, როგორათაც წიგნსა და ნიშანში ეწერას. ქვს უ კ ე. [თეიმურაზ], [თამარ], [იოანე].

ქ. ჩვენ ხეუე ერეკლე ვამტეიცებთ ამ წიგნს, თკდამბურს დ, ქვს უ მ თ. | თრელე |.

**487.** სითარხნის წიგნი, ბოძებული ანდრონიკაშვილების მიერ გოგია ცისკარაშვილისადმი, დაწერილია ქალალღზე ნუსხა მხედრულის ხელით.

1737, მარიამობისთვის გასულს.

ქ. ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენს უმას და ერთკულს ც ი ს კ ა რ ა ს შ ვ ი ღ ს გ ო გ ი ა ს და გურამს და მამუკას და ღვინიანს, ასე რომ შენ ჩვენს ერთგულთაზე და ჩვენის ქვენის გულისაივის ბატონისშვილს ერეკლესთან ნაქრათ წახველ და ჩვენც ეს

წყალბა გიუავით თ ა მ ა ზ ი ე შ ი კ ა დ ა ბ ა შ მ ა და სვიმონ და ჰანუმა და დათუმა, ასე რომე, რაც ჩვენი ბეგარა და გამოსავალი გედვით, არაფერი აღარა გეთხოვებოდეთ რა არც შენ და არც შენს სახლის კაცს ჩვენგან ამის მეტი, რომა, საცა შენი სახლის კაცი იუოს, და ჩემმა სახლის კაცმა წყალბის მეტი არაფერი არა გამართოს რა და არც ჩვენ და არც ჩვენმა სახლის-კაცმა. დაიწერა მარაამბობისთვის გასულს, ქვს უკე.

**488.** არზა პაატა ცისკარაშვილისა და არზაზე მიწერილი ბრძანება ერეკლე II-ისა, დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით.

1796, მაისის 9.

ქ. დმერთმან ბედნიერის კელმწითვის ჭირი გურჯაანელს ცისკარაშვილის ჰასტას მომცეს. მერე ამას მოგახსენებ: ქიზიუის მოურავის ემა განხლავარ და იმ ჩემის ბატონიდგან აზატობის წიგნი მაქვს, რომ მე არაფერ ხარჯში არ უნდა გამრიონ და კურთხეული მამათქვენის, მეფე თეიმურაზის, წყალბის წიგნიცა მაქვს, რომ არაფერი არ უნდა გვეთხოვოს და თქვენგანაც დამტკიცებული მაქვს და ახლა არც თქვენგანა მაქვს შეღავათი და არც ჩემის ბატონისგან. წყალბას ვითხოვ, რომ რაც ამ წიგნებით წყალბა მოგიღიათ და გავიზატებიან, იმ აზატობაზედ დაგვამტკიცოთ და არა გამოგვართოს რა თქვენ სადღეგრძელოთ.

თავში სხვა ხელით აწერია:

ქ. ჩვენი ბრძანება არის, მოხელენო და რომელნიც ჩვენის კარიდამ იასაულნი წარიგზავნებოდეთ. მერე ამ არზის ჰასტრონის ნეტარად ხსენებულის ბატონის მამის ჩვენის წიგნი აქვს აზატობისა და ის წიგნი ჩვენგანაც დამტკიცებული არის. ჩვენ იმ წიგნს ვერ მოუშლით, როგორც იმ წიგნში უცხადებს, ისე უოვლის სათხოვრისგან აზატი არის, ნულარავან შეაწუხებთ სათხოვარზედ, თორემ დიდათ გიწყენთ, იცოდეთ იმ წიგნის მოშლას არას გზით არ იქნება. ეგვლამ ასე იცოდეთ და ამ ჩვენის ბრძანებისაკებრ მოქექეთ. მაისის 9, ქვს უკდ.



ქ. ბატონო ქიზიყის მოურავო ზაქარიავ და მინაშო აბულ! ამას კურთხეულის მამის თქვენის წიგნაცა აქს თქვენის სთხოვრისაგან გათარხნებისა და როგორც მამის თქვენის წიგნში უცხადეს, თქვენც ისე უნდა აღუსრულოთ. აღმათ, ბევრს დაეძრათა მაშინ ეს საქმე: ჩვენს სასახლას, კეღესიების ემებისა და თავადიშვილების ემებისა და ამასაც ასე უნდა აღუსრულებს. ერგლე .

**489.** ბძანება თამარ დედოფლისა, თეიმურაზ II-ის მეუღლისა, 40,5 X 18 სანტ., დაწერილია ქალღმერთ მორგვალო მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1738, მარტის 28.

ქ. ჩვენი ბძანება არის სულ ერთობლივ კიზიყელან(sic) უფროსნო და უმცროსნო: მეტყუა აბელო მოურავი ოჯახით და ჩამომავლობით ერთგულნი და დიდათ გარჯილნი უფილან და ნამეტჩავათ ეს აბელო მოურავი. ჩვენ ამისთვის მოურავობა მიგვიცია და არც გამოგვირითყვია. უინცავინ ჩვენი ერთგულნი ხართ და ან ჩვენი თავი გინდათ, ამ აბელო მოურავს შემოეხვიებით. მაგ გიოს ბებურიშვილისათვის არც მიგვიცია და არც თქვენში საქმე აქვს. მოურავობა ამისთვის მოგვიცია, მაგას მაგ ქვეყანაში კელი არა აქვს. დააწერა წიგნი ესე თვესა მარტსა კან, ქან უკვ. □ ბეჭედს აწერია: „ასულო ჩემო, დავით მრქვა, შენ იყავ ჩემი ამარი, ვახტანგ მეფისა ასული და დედოფალი თამარი“.

**490.** შერიგების წიგნი ენისელთ მოურავის დათუნასი და ენდრონიკაშვილის დავითისა, დაწერილია ქალღმერთ ნუსხა მხედრულის ხელით. თარიღი არა აქვს, მაგრამ წიგნი უნდა ეკუთვნოდეს 1738—1739 წლებს.

1738—1739. ქ. ესე ვარდაწვეტის წიგნი მოგვცით ჩვენ ენისელთ მოურავსან და თუნამ თქვენ ენდრონიკაშვილს დავითს, ასე რომ ზიარელთ და ჩემს ბიძაშვილს შერაბს ცოტა რამ

ჩხუბი გამორეოდათ და ბატონს თეიმურაზთან ვიღაზარაკეთ და კაის გზით შეგვარიცა თქვენთან და ზიარულთან კელი აღარა გვაქვს რა, აღარც შე და აღარც ჩემს სახლის კაცს. არის ამიოი მოწმე მარტუოფის მოურავი ჩერქეზი ჩაიხოსრო. შე ზაად ბაზიერთხეტიშვილის დაძიურია და მოწამეცა ვარ. □ □.

**491.** საფიცრის წიგნი თეიმურაზ II, მიცემული ენდრონიკაშვილებისადმი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. თარიღი არა აქვს, მაგრამ სიგელი უნდა ეკუთვნოდეს 1739 წ.

1739. ქ. ჩვენ, ღვთივ გვირგვინოსანს მუეუმან და კელმწიფუმან ზატრონმან თეიმურაზ, ზირმომან და სასურველმან შვილმან ჩვენმან, ბატონმან ერეკლე, ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათაეუბელი საბოლოო მტკიცე და უცვაღებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ენდრონიკაშვილს და თუნას, მასა თქვენსა გორჯასზის, ადამს, შვილთა და მოძავდითა სახლის თქვენისთა ასრე და ამა ზარსა ზედან: ღმერთმან თუ ჩვენ კახეთის ზატრონობა მოგცეს, ვიუენეთ თქვენითის კარგნი და მოზატეენა, არც კანთო და არც კაზიანთო და გაუკითხავად არ შეგიბეზლოთ და არც, რისაც მამულისა და სახელის მქონებულნი იყოთ და ეოფილიყოთ, არც იმისაგან დაგამციროთ, და თუ ვინმე თქვანი თაუი შემოგუახეზლოს, გაუკითხავად არ გავიწერეთ. ამისა გარეთ კიდევ რაც მამული ან ჩემს ბატონობაში გქონდეს და ან გემოვხოს, არც ერთი მოგიძლოთ და არც დაგამცროთ. თუ ბედნიერმა ეაენმა ჩემი მამული მიბოძოს, შეთქვენ არა მოგიშალოთ რა \*).

**492.** სიგელი თეიმურაზ II-ისა, ბოძებული ომან ჩოლაყაშვილისადმი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით.

1739. ქ. ნებითა და შეწყენითა ღვთისათა ჩვენ აქსიან, დაფითიან, საღომონიან, ზანკრატოვანმან, შეუეთ მუეუმან, თვით კელ-

\*) ეს ზაზ-გასმული სიტყვები თვით თეიმურაზის ხელით არის ჩაწერილი.

მწიგუქმან ბატონმან თეიმურაზ და თანა შემცხედრემან ჩვენმან ქართველთ მიერის ასულმან დედოფალთ დედოფალმან ბატონმან თამარ, პირმშომან და სსურველმან ქმან ჩვენმან ერეკლემ, ძმასწულმა ჩვენმან საზარალი-მირზამ და ასან-მირზამ ასე და ამ პირსა ზედა, მოხუდით კართა დარბაზისა ჩვენისათა, ბაკურციხეს თქვენს სამკვიდროს ემან ჯადუგიძვილებს გვეჯვით, ვისძინეთ აჟა და მთხსენებ: თქვენი და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულთა და თაკდადუბით ნამსახურთა ემათა ჩვენთა, როდეთა მკილს ჭიკურთა მთურავს თმანს და ძმასა შენსა ჯამბურს და ქაიხორის, ბიძაშვილსა შენსა ხააღს, ანდერძისს და დავითს, ასე რომე ჟამთა ვათარეობისაგან ცოტას ხანს გამოგრაძვილდათ და ოსნაშვილს მისცემოდა. გავსინჯეთ და თქვენი სამკვიდრო უოფილიყო, ჩვენ ძმასაც თქვენთავის ებოძა და ახლა ჩვენც თქვენ დაგიბტკიცეთ, უანდაარს გვანდით და ბუკრი გვესახურეთ და თქვენის სამსახურის სანუქთოდ ეს ჯადუგიძვილები, როგორც თქვენს მამა ზამას ჭქიხებია, ისრე თქვენთავის გვიბოძებია და დაგიბტკიცებია სხელით, კართთ, მითითა, ბართთა, შესავლითა, გასავლითა, წელითა, წისქვილითა და ყოვლის სამართლისისა სამხურთთა, გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენს ერთგულთასა და სამსახურსა შინა და არადეს არ მოგუძალთ არც ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან. თუ ვინმე ამ მამულის წაგნი წამოაქოს, ამ წიგნით გავამტეუნებია, ხურყის კელყოფთ მლად ამისა. დაიწერა ბრძანებ და ნიშანი ქვს უკ'ს. |თეიმურაზ|, |ერეკლე|.

**493.** წყალობის წიგნი მეფე თეიმურაზ II-ისა, ბოძებული გურგენიძეებისადმი, 41 X 28 სანტ., დაწერილია ეტრატზე მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილები, მძიმეები და წერტილ-მძიმეები.

1740. ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ ღთივ ზენით გურგენისანმან, იესიან, დავითიან, პანკრატთანს, საქართველოს მიერით შეფემან, ბატონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან თამარ, პირმშომან და სსურველმან ქმან ჩვენმან ბატონისშვილმა ბატონმა ირაკლიმ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგიბოძეთ სამლოთოს ჩვენდა ბრძანებულისა წესითაებრ კეთილ მონისა და სახიერისა მსგავსად მრავალსა ზედა დადგინებისა ბატონითა,

რომელმან მსახურებას შინა ჩვენსა იტყუოთ სიცხე მზისა და სიმძიმე ღამისა და შუშაკისაებრ სასიყდელისა ღირსისა ჩვე(ნ)ცა მოწყალებანი ერთგულათჳს მიუხვეპულნი საგლითა დაკომტვიცით თქვენ, მრავალგვარად თავდადებულს და ჩვენსა სამსახურისა შინა ნიამაგ მზად შეოფნას და ერთგულება დაჯერებულს ემთა გურგენიძეს და ჩვენს არმან უშაკაღაბაშა ბეჟან ბეგის შვილს სოლომონს, შვილსა შენსა გიორგის და შვილის-შვილსა შენსა სიმონს და მომავლთა სახლათა თქუენისათა ეოგულთაჳს ამაღ, რომე როდეს ნადირშამ ერანი დაიჭირა, მაშინ აქ მობძინდა, ჩვენს ძმისწულს ალექსანდრეს ქართველთ ბატონობა უბოძა, ჩვენც ბევრა ძალიანი სამსახურა დავსდევით: ღვეა და ურუმი გავრადენ, ხალციხის უსუფ-ფაშა ქართლში ბატონობდა, ვარაღაჳის ციხე ეჭირა, დიდის ჯარით და თოფხანით გამოვიდა კახეთჳდ, ჩვენსა, მაჭმაღ-ყული-ხანის სიკუდილიც და დარბაისელთ და ეზისკაღზოსთ ამოწეუეტაც თავს ეღვით მიუხალობით, დთასი მოწყალებით დედოფლის წყალზე დაექსენათ, ქალაქშიდა ვდივით, ბევრა ამგვარი სამსახურები გავსწიკვით, მაგრამე არ დავკინდო: გორს დაგვიჭირეს ჩვენ და ქართველნი, ბარძამ ერისთავი ამარაზგარი გივი და თარხანი. ექენი ისმანის ბძანდებოდა, წავკვასხეს ტუსადათ, შენ თავდადებით დაუმტვიგათ გვახელ, გზებზედ კარგად გვმსახურე. მერმე ექენმა ისმანს წყალობა გვიყო, კარგათ შეგვაწყენარა, მგრამ ეანდარსხელ ტალიაშქრა, ჩვენ თან წავკვასხა, ვინც გვერთ გვახდდენ დიდათ შეწუხდენ და თხოვნა შექნეს: მე ეუფელთ თავისუფლათ გავხადე, წამოყოფის ნება მივეც. მაშინ შენ და შატას ტუსიშვილს ჰირობა გქონდათ, თავგარდადებით გარდმო(გ)ეუევეთ ისმანისდამე, მანამდის ეანდარს ჩაკიდოდით, გზახელ მრავალი განსაცდელები გარდაგვხვდა და ომიც: შირ-ეიხის შვილი ეაენი თავს დაგვესხა ორმოცის ათასის კაცათ ღამით, მაშინ კარგათ გინარაჳე, სანგარზედ ექენის ეულებითან დასწრებოდი, ცხენიც მოგვეკლა. ეულებს მოგესუნებინა ექენისთაჳს: თეამურაზ ხანის ეულება ჩვენთან დაქსწრენო და კარგად გაინარაჳენო. ებრძნებინა: გურჯებს ამითთანაში არ ჰგრცხენინათო. მეორეს დდეს მადრიელობა ებრძნათ. მივედით ეანდაჭრს, შემოებნენ, დიდსხანს ომი იყო; ვინც ქართველნი გვახდდენ, ან კახნი, კარგა იუენეს, შირ-ეიხი კიდევ დაამარცხეს, ეანდარი მთა-

სირი გახდა. მერმე ჩვენი შვილი არაკლი დაიბარა, ჩამოიუყოს. ექუს თვეს მოასარი იყო ეხდაარი, იერიშით აიღო. შენ ციხეში გადახველ, იქაც კარგათ იყავ. ჩვენ დიდის ზეტვიით და წყალობით ვუყუხდით. მერმე ინდოეთისაკენ გაილაშქრა და ჩვენ მურახასი გვიყო, აქათ გამოგვისტურა. ჩვენი შვილი არაკლი თან წაიყუნა. გაყრის დღეს დიდი მწუხარება შეგვექნა, თვისან შეზღვიანი ვმანა დაეთხოვნენ და წამოვიდნენ, შენც ჩვეთახვე წამოგიყუანათ. ბატონისპილის გარისათვის დიდათ შეწუხებული ვიყუვით ბატონ-ემიანათ: არც მოიხე ეუხნდა, რომ ზარსული სცოდნოდა. ჩვენს უდასტურათ წარჩველ და გზასკად მოეწიე და თან იახელ. ინდოეთში მრავალი განსაცდელი გარდაგებდოდათ, დიდრონი თმი გზასკედ, ტახტის სიხლავს მჭჭანბათის ინდოეთ მეფე შემობმოდ, დიდით სილამაძი თმი უოფილყო, ნადირშის გამარჯვებოდა, ინდონი ოცი ზოსა მეტი მომუყადარიყო, ინდოთ მეფე მამად-შაჰ სანკრიდამ გამოეყუნა, მიბძინდა და მჭჭანბათის ქალაქი აიღო, ინდოეთს თვითონ მეფედ დაჯდა. მასუკან დაბრუნდა და სინდეთი დაიჭირა და სინდეთ მეფეც შეიპურა და ისეკ ეხდაარს მიბძინდა. თითონ ჩინეთისაკენ წამძინდა, ბატონისპილი აქეთ გამოესტურებინა ჩვენსკენ. მოხვედით მშვიდობით, ალაკურდს შევიყარინათ. ჩახეთ, ჩვენი და დედოფლის რა სიხარული იქნებოდა! მშინ დაგვეჯენით და კისმანეთ ავა და მოხსენება თქვენნი და ესოდენის ჩვენსე თავკანწირვით ერდგულობით სმსხერი მოვიკსენეთ და წყალობის თვალთა მოგხელებით და შევიწყალეთ და გიბოძეთ იელავს ბაზრის ტარულობა. მერმე ნადირშ დაღისტანიდამ მობრუნდა და კარგათ ვემსახურენით და მავკუბენით და ქართველთ ბატონობა გიბოძას. შაჰის ძველთაგან ჩვენ მამა-შამათაგან დიდების მორათობის წყალობა გჭირებოდათ. ჩვენც იმ რიგით დიდების მორათობა გიბოძეთ, როგორათაც ძველს სიკელში გვერისთ. და რადგან შაჰის კადეე ეხდაარს ევასხელე, იქავ ნადარბათში ქაზიყის ქალხირობა გიბოძეთ და წყალობა გიყავით. გჭირდეს და გიბედხირისთ ღმერთმან ჩვენს ერდგულად სამსხერსა შინა. არაოდეს მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩუენთა მეფეთა-შემპატრონეთაგან. და რამეხიცა ღთის მოუყარენა მეფენი, კეთილ-მორწმუნენი დედოფანნი, კეთილად-შობილნი ძენი და ასულნი

ჩვენსა შემდგომად ბძინდებოდათ, ნუვე მოუშლით და მწყალობელი იუენიათ, რათა თქვენცა გავებული დმერთმან გეოთლ უმჯობესად გახვას. აწე გიბრძინებთ, კარის ჩვენის ვექილ-ვეზირთა და სხვანო მოსაქმენთ, ბრძინება და ნიშანი ესე ჩვენი თქუენც ესრეთ დაუმტკიცეთ. დაიწერა ბრძინება და ნიშანი ესე კელითა კელიანის მხატვრის გრიგორ მღვდლის დეკნოზის ძის ადექსი დეკანოზისათა, ქრისტეს განკორციელებიდან ჩ დ მ, ქრინიკანის უკტ. მეფე თეიმურაზ.  
აშიაზე აწერია:

ქ. ჩვენ ეოელისა ზემოასა საქართველოს მშერობელმან, მეფეთა მეფემან ერეკლე ესრეთ გახვაცესეთ, რომელ, რანაცა გახვას ანუ მამულანი და ანუ სახელანი უზერიან ამათ ბოძებულნი ჩვეუენან, ესე ეოკელი სოლომონს და მისსა შვილსა დარჩეს, და რაც ქრათლში მამული თუ სახელა და დიდების მოურაობა ჭქონდესთ, ესე ეოკული ბარამს და მისს ძმას დარჩეს. ქრისტეშაბის კ, ქრისტეს აქეთ ჩ დ მ დ. □ ბეჟედს აწერია: „მე ფერბთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე. ერეკლე“.

**494.** წერილი დემეტრე ქარუმბიძისა, 28 X 11 სანტ., გვი ამილახვარისადმი, დაწერილია ქალაღზე ნუხხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება თითო, ორ-ორი და სამ-სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1740, აზრიღის 2.

ქ. დმერთმან ბატონის ა მ ი ლ ა ხ ო რ ა ს ჭირი მოსცეს ქარუშაძეს დეჟეტრეს, კალთას კაცნას მოკახსენებთ. ჩვენიკის წაგნი გებოძათ და გებძინებანი: კასპს\*) მუნობას ვაზირობითა, დაგებარებინენით: აქ ჩამოდიო, მოურავი ხარო, სარქრაბა ქენით, მართებულად შენი არისო, თუ რომ არ ჩამოხვადო, მოურაობას სხვას უბოძებო. ჩვენცა ეს მოგვჩხსენებთ: ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება, ვერც გეხვლები დაღისტანში, ვერც დავდგები, ვისაც გინდოდეს იმას უბოძეთ კასპის მოურაობა. დმერთმან მშვიდობაში შოაკმაროს. კასპელა კაცი საღდა არის, სულ ამოწევე(ტ)ლია. თათო ბიჭი საღდაც კარდარნობილია, იმათა ზოგნა ვის შეუძლია? ვერცა იმათს ცაღლოში ჩავდგები, ბატონო. აღიწერა აზრიღის ბ, ქქს უკტ.

\*) დღანში სწერია: კასპას.

**495.** წყალობის წიგნი თეიმურაზ II-ისა, ბოძებული ნახორის დავით ავალიშვილისადმი, ამ წიგნის ჩვენ პირი გვაქვს ხელში მართებლობის მიერ შემოწმებული.

1740, ენკისისთვის 22.

ქ. სეითა და შექეხითა ღთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სილამონიან ზანკრატოვანზან, მეფეთ მეფემან და თვით კელმწიფემან ზატონიან თ ე ი მ უ რ ა ზ და თანამეცხედრემან ჩვენმან, საქართველოს მეფის ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, ზატონიან თ ა მ ა რ და სსუწველმან ქემან ჩვენმან ბატონიშვილმან, ზატონიან ერეკლემ, და ქმის წულმან ჩვენმან ასან-მირზამ ესე ამიერთი უკუნისამდე უმთა და ხანთა გასთავებელი წყალობის წიგნი და სიგელი ესე შეგვიწვლეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალ გვარად თავდადებით დიდათ ნამსახურს უმთა ჩენითა, ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს ნ ა ხ ი რ ს დ ა ვ ი თ ს, მალახვარს ასლანს და ქმასა შენსა დემეტრეს და შვილთა თქვენთა გიორგის, ქაიხოსროს და არსენს და უოკელთაჲკ მამაკალს სხლისა შენისათა ასრე და ამ ზირსა ზედან, რომე ძველადგან დიდათ ნამსახურნი და ჭირხანახნი იუვენით, მრავალგან გაჭირებასა და ერთგულობაში მამა-ზაზათ თანა ხლებოდი. ახლაც ჩვენს შვილს ერეკლეს ასლან მალახვარი ინდოკოს მჭკვანაბადთან ხლებოდა, მრავალი ჭირი და გაჭირება გარდაეხადნა და კიდევ სინდოისაც დიდს გაჭირებამი თან ახლდა ერთგულად ჩვენს შვილს. ოდეს დმერთმა ხელი მოეშარათა, იქილამ დიდს კელმწიფეს მანქმას უერახსა ი მიუცა და მშვიდობით ბატონ-უმანი მოხვედით, მრავალი სამსახური და ერთგულობა გარდაეხადათ. უწინდელი ზაზის ჩვენის ძველი წიგნი, კურთხეულის მამის ჩვენის წიგნიც ხელი გქონდათ, ჩვენის ქმისა მეფის იმამუელიხანასა და ჩვენგანაც წიგნი გეჭირა კელში და ხელახლად წიგნითა ამით გავიხლეთ ამ შენის სამსახურის სანუთქოდ ჩემდაეს ჩენი სხასო გლეხები და რაც იუოს შენი და უშენი თავისის მიწაწვლით, შათათა და ბართა, შესავლითა და გასავლითა—წყალობა გვაქნათ და გვაბოძებათ თქვენს სიუმოდ, როგორათაც ძველს წიგნებში გეწეროს, იმავე რიგითა უოულის კაცის უდილეზად. გიბედიეროს დმერთმან ჩვენს ერთგულებასა და სამსახურსა შიგან, არ მოგეშალოს

ჩვენგან და არა შემდგომთა შეიქცეა და შეპატრონეთაგან. აწე გიბ-  
ძანებთ კარისა ჩვენისა ვეჭილ-ვეზირნო, აქვენც გაუთავეთ და ნუ  
მოუშდით, რა რიგათაც ფარმანსა ამას შიგან ეწეროს. დაიწერა ბრძა-  
ნება და ნიშანი ესე ენკენისთვის კბ, ხელთაა ზურაბ მღვინისათა,  
ქვს უკც. შეფე თეიმურაზ, თამარ, ერეკლე, □ (თათრული).

მეორე გვერდზე სწერია:

ქ. ჩვენი ბძანება არის, მორდალო ჳ ა ა ტ ა ვ! ჩუმლაყი ჩვენი  
სახსრო ხელი აუშართე დავით ნაზირსა და ასლანს, ბატონიშვილას  
მილახვარს მიაბარე, როგორც უწინ სჭეროდეს იმ გზათ, ქვს უკც.  
თეიმურაზ!

496. თეიმურაზ II ბძანება საამილახვრო მკვიდრთადმი, დაწერი-  
ლია ქალაქდზე მხედრულის ხელით.

1742, მკათათვის 18.

ქ. ჩვენი ბძანება არის, სულ ერთობით სამილახვრო ახსნუ-  
რო, გლეხთა და რაითთ: ა მ ა რ ი ნ დ ო ა მ ი ლ ა ხ ვ რ ი შ კ ი ლ ი  
კემწიფის სამსახურის ბეჯათი არის და ჩვენი ერთგული, რათგან  
თავადი კემწიფის დოვლათს ეძებს, ჩვენგან მართებულა ამისი ზუ-  
რის მიცემა. გივია-ბეგ გაიქცა, კემწიფის ხანია შეიქნა, ამილახვრობა,  
როგორც ამითი ოჯახის სამკვიდრო იყო და გივს ჰქონდა, იმ წესით  
ამირინდოსთავის გვიბოძებია. გივი თუ იავის ხვბით მოვა, კემწიფის  
კარზედ უნდა გავისტუმროთ, თუ არა, ამ ქვეყნიდამ უნდა დავკარგოთ,  
იმისი თქვენი ბატონობა აღარ იქნება ამას მოუდექით, ეოველი კა-  
ცი ამისი სიტყვის მორჩილი იყავით, რაც კემწიფის სამსახური გი-  
თხრათ, გაუგანეთ, ვანც უარის შეოფელი შეიქნებით გვაბძანება:  
თამბას გიზამსთ, სომოცდა თხუთმეტა თუმხან ამ თარალიდამ წელი-  
წადში ტოდნული გავგვიჩენია. ამ ახლო ხანს კემწიფის რაქამსაც მო-  
ურტანებთ, ზემო ქართლას საბატოს კაცისშვილნო, ახსნურო და  
რაათნო, ვითაც სხვას ამილახვრის მორჩილი იყავით, ზემო ქარ-  
თლას ამილახვრობას ამას წყალობა უყავით, რომ კემწიფისა დიდათ  
ერთგული და ნამსახური იყო. დაიწერა მკათათვის აბ, ქვს ულ. □



497. საფიქრის წიგნი, ბოძებული თეიმურაზ II-ის მიერ რევანში ამილახვარისადმი, დაწერილია ქალაქდზე მხედრულის ხელით. შესავალი განგებ გამოშვებულია.

1744, იანვრის 12.

